



# აჭარის საზოგადოებრივი მაუწყებლის მონიტორინგის ანგარიში

25.12.2019-04.06.2020



გამოცემულია ღია საზოგადოების ფონდის ფინანსური მხარდაჭერით. ავტორის/ავტორების მიერ საინფორმაციო მასალაში გამოთქმული მოსაზრება შესაძლოა არ გამოხატავდეს ფონდის პოზიციას. შესაბამისად, ფონდი არ არის პასუხისმგებელი მასალის შინაარსზე.

## შესავალი

საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიის გადაცემებს 2019 წლის 25 დეკემბრიდან 2020 წლის 4 ივნისის ჩათვლით პერიოდში ამონიტორინგებდა. თუმცა 2020 წლის 11 მარტიდან ამავე წლის 20 აპრილამდე მედიამონიტორინგი შეჩერებული იყო, რისი მიზეზიც აჭარის ტელევიზიაში მიმდინარე მოვლენები და საგაფიცვო პროცესის დაწყება გახდა - გადაცემები, ძირითადად, ეთმობოდა თავად მაუწყებელში მიმდინარე პროცესებს.

დაკვირვებისთვის თავდაპირველად შეირჩა შემდეგი გადაცემები: საინფორმაციო გამოშვება „მთავარი“ (ყოველდღე 18:00 და ყოველ სამუშაო დღეს 20:00 საათზე); პოლიტიკური ტოქშოუ „სათქმელი“ (ყოველ ხუთშაბათს 22:00 საათზე) და ტოქშოუ „ჰემთეგი“ (ყოველ სამუშაო დღეს 19:00 საათზე). მონიტორები, ასევე, აკვირდებოდნენ გადაცემებს: „მთავარი აჭარაში“ (ყოველ შაბათს 20:00 საათზე) და „კვირის მთავარი“ (ყოველ კვირას 20:00 საათზე).

2020 წლის აპრილიდან მონიტორინგის განახლების მომენტისთვის, შეჩერებული იყო ტოქშოუ „ჰემთეგი“, რომელიც ჩანაცვლდა ახალი გადაცემით - „თავისუფალი სივრცე“. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მონიტორინგის დასრულებამდე აღდგა გადაცემა „ჰემთეგი“, თუმცა მონიტორინგის ჯგუფმა გააგრძელა „თავისუფალი სივრცის“ მონიტორინგი.

წინამდებარე მონიტორინგის მიზანი იყო დაკვირვება, აჭარის საზოგადოებრივი მაუწყებლის ახალი დირექტორის - გიორგი კობრეიძის დანიშვნის შემდგომ მაუწყებელში შეიცვლებოდა თუ არა სარედაქციო პოლიტიკა.

## მონიტორინგის მეთოდოლოგია

გადაცემები გადანაწილებული იყო სამ მონიტორზე. მონიტორები 10-15 დღეში ერთხელ ცვლიდნენ სამონიტორინგო გადაცემებს.

საანგარიშო პერიოდისთვის, თითოეული გადაცემა (საინფორმაციო, ტოქშოუ) ნანახი აქვს სამ სხვადასხვა მონიტორს, რაც საშუალებას გვაძლევს, მაქსიმალურად ამომწურავი იყოს თითოეული გადაცემის როგორც შინაარსის, ასევე ფორმატის შეფასება.

მონიტორინგი იყო შინაარსობრივი ხასიათის და თითოეული გადაცემა ფასდებოდა წინასწარ შემუშავებული კითხვარის შესაბამისად. შეფასების კრიტერიუმები საინფორმაციო-ანალიტიკური გადაცემებისა და ტოქშოუების შემთხვევაში განსხვავებული იყო (იხ. დანართი).

## მონიტორინგის შედეგები

საანგარიშო პერიოდი დაემთხვა დაპირისპირების პერიოდს აჭარის საზოგადოებრივი მაუწყებლის ახალ დირექტორსა და იმ გუნდს შორის, რომელიც ამზადებდა დასაკვირვებლად შერჩეულ გადაცემებს. გუნდის წევრები გარკვეული პერიოდის განმავლობაში ინარჩუნებდნენ არხის სარედაქციო პოლიტიკას, თუმცა, საკადრო ცვლილებების შემდეგ, სარედაქციო პოლიტიკა გარკვეულ გადაცემებში შეიცვალა.

## მონიტორინგის პერიოდში აჭარის მაუწყებელში განვითარებული მოვლენები

საანგარიშო პერიოდში აჭარის მაუწყებელში მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა, რამაც დიდი გავლენა მოახდინა არხის სარედაქციო პოლიტიკასა და საქმიანობაზე.

ტელევიზია უკიდურესი პროტესტის ნიშნად დატოვა ჟურნალისტმა ნინო ხოზრევანიძემ და დირექტორის მოადგილე ნათია ზოიძემ, რომელმაც განმარტა, რომ იძულებული იყო ასე მოქცეულიყო. ხელშეკრულება აღარ გაუგრძელდა ჟურნალისტ ნათია შავაძეს.

2020 წლის თებერვალში აჭარის საზოგადოებრივი მაუწყებლის მრჩეველთა საბჭომ მხარი დაუჭირა დირექტორის მიერ წარდგენილ სამტატო განრიგს, რომლის თანახმადაც გაუქმდა სამსახურის უფროსების მოადგილეების შტატები. აღნიშნული ცვლილებების გამო, გათავისუფლდა საინფორმაციო სამსახურის უფროსის მოადგილე და 20:00 საათიანი საინფორმაციო გამოშვების რედაქტორი - მაია მერკვილაძე, რომელსაც მოგვიანებით სამსახური შესთავაზეს მაუწყებლის რაიოდში. რაც შეეხება საინფორმაციო სამსახურის უფროს შორენა ღლონტს, ის მალევე, 2020 წლის 28 თებერვალს გაათავისუფლეს დაკავებული თანამდებობიდან.

მაია მერკვილაძის ტელევიზიიდან გათავისუფლების შემდგომ, 20:00 საათიანი საინფორმაციო გამოშვების რედაქტორის პოზიციაზე დაინიშნა პირი - ნინო ხაყოშია, რომელიც აჭარის ტელევიზიაში მანამდე დასაქმებული არ ყოფილა. მან რამდენიმე დღეში ეს პოზიცია დატოვა, თუმცა აპრილიდან ნინო ხაყოშია საინფორმაციო სამსახურის ონლაინრედაქტორი გახდა. ამ გადაწყვეტილებით ტელევიზიის მენეჯმენტმა საინფორმაციო სამსახურს ჩამოაშორა კიდევ ერთი „არასასურველი

ჟურნალისტი“ სოფო ჟღენტი, რომელიც მანამდე ტელევიზიის ონლაინსამსახურის უფროსი იყო.

ამ ცვლილებების შემდგომ, მაუწყებელში დახურულ სხდომაზე დირექტორის მოადგილედ აირჩიეს ვახო ხუზმიაშვილი.

საინფორმაციო გამოშვების უფროსის მოვალეობის შემსრულებლის პოზიციაზე გიორგი აბაზაძე დაინიშნა, რომელიც საინფორმაციო გამოშვების ერთ-ერთი წამყვანი იყო. მასთან დაკავშირებული ინციდენტის მიზეზით, სამსახურიდან გათავისუფლდა 20:00 საათიანი საინფორმაციო გამოშვების წამყვანი თეონა ბაკურიძე. წამყვანი ჩანაცვლა ნაზიბროლა ქობულაძემ, რომელიც ტელევიზიაში აჭარის საგზაო დეპარტამენტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურიდან იყო გადასული.

პრობლემები შეექმნა ჟურნალისტ თეონა ხარაბაძესაც, რომელიც ქუთაისში, ფაქტობრივად, არარსებულ ბიუროში გადაიყვანეს. თეონა თურმანიძეს კი წამყვანობა 1 წლის ვადით შეეზღუდა. ტელევიზიიდან გათავისუფლდა ალტერნატიული პროფკავშირების თავმჯდომარე მალხაზ რეხვიაშვილიც.

საანგარიშო პერიოდში ვახო ხუზმიაშვილი დირექტორის მოადგილის პოზიციიდან საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელის თანამდებობაზე გადავიდა.

საანგარიშო პერიოდს დაემთხვა მაუწყებელში საგაფიცვო პროცესიც.

## საინფორმაციო გამოშვებები

### მთავარი მიგნებები:

- მონიტორინგის პირველ პერიოდში (25.12.2019-10.03.2020) საინფორმაციო გამოშვებები იყო მიუკერძოებელი, თუმცა საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელობის შეცვლისა და გადაცემის წამყვანების ცვლილების შემდეგ (20.04.2020-04.06.2020), გამოიკვეთა, რომ 20:00 საათიან საინფორმაციო გამოშვებაში სარედაქციო პოლიტიკა შეიცვალა, რაც გამოიხატებოდა მნიშვნელოვანი ამბების მიჩქმალვა/არგაშუქებაში; ბალანსის ხელოვნურად დაცვასა და კრიტიკისგან დაცლილი კონტენტის გავრცელებაში.
- მონიტორინგის მეორე ეტაპზე პრიორიტეტი ენიჭებოდა ხელისუფლებასთან დაკავშირებული საკითხების გაშუქებას.
- 20:00 საათიან საინფორმაციო გამოშვებებში შემცირდა ისეთი გადაცემები, სადაც ჩართულია სტუმარიც. მონიტორინგის პირველ პერიოდში ეს გამოშვება გამორჩეული იყო სტუმრებისადმი კრიტიკული კითხვების დასმით. წამყვანის ცვლილების შემდეგ კი, სტუმარი სპორტის მიმოხილვამ ჩაანაცვლა, ან სტუმარს (თუკი იგი მიწვეული იყო გადაცემაში) კრიტიკულ კითხვებს არ უსვამდნენ.

**ზოგადი შთაბეჭდილება:** მონიტორინგის პირველ პერიოდში (25.12.2019-10.03.2020) ამბები შუქდებოდა ძირითადი ეთიკური სტანდარტების დაცვით. რესპონდენტების მიმართ ჟურნალისტების მხრიდან ცინიკური, შეურაცხმყოფელი ან უსამართლო დამოკიდებულება არ დაფიქსირებულა. გაშუქებისას უპირატესობა არ ენიჭებოდა რომელიმე პოლიტიკურ თუ საზოგადოებრივ მოძრაობას. საინფორმაციო გამოშვებებში დრო თითქმის თანაბრად ეთმობოდა სხვადასხვა მხარეს. გამოშვებებში იგრძნობოდა კრიტიკული დამოკიდებულება ხელისუფლების მიმართ.

ჟურნალისტები ცდილობდნენ, თითოეული ამბავი გაეანალიზებინათ კრიტიკულად, რესპონდენტებისთვის დაესვათ კრიტიკული შეკითხვები და საზოგადოებისთვის მიეწოდებინათ ინფორმაცია პრობლემებისა და მიმდინარე ამბების შესახებ.

იმის მიუხედავად, რომ სამონიტორინგო გადაცემების აბსოლუტურ უმრავლესობაში დაცული იყო ჟურნალისტური ეთიკის სტანდარტები, გამონაკლის შემთხვევებში დაფიქსირდა გარკვეული სახის პრობლემა.

20:00 საათიან საინფორმაციო გამოშვებაში საინტერესო იყო სტუმრის ბლოკი, სადაც წამყვანის შეკითხვებს, დღის მნიშვნელოვან თემებთან დაკავშირებით, სტუმარი სტუდიაში ან ეთერში პირდაპირი ჩართვის ფორმატში პასუხობს. წამყვანი, ძირითადად, სათანადოდ იყო მომზადებული და თემის ცოდნას ამჟღავნებდა, თუმცა დაფიქსირდა რამდენიმე შემთხვევა, როდესაც რესპონდენტის მიერ მოთხრობილი ინფორმაციის დამაზუსტებელ შეკითხვებში გარკვეული ხარვეზები იყო. გამოიკვეთა, რომ ერთეულ თემებზე წამყვანს წინასწარი მომზადება აკლდა.

დაფიქსირდა რამდენიმე შემთხვევა, როდესაც სიუჟეტის მთავარი ხაზი არ იყო სათანადოდ გამოკვეთილი, ის იწყებოდა ერთი მნიშვნელოვანი ამბით და, მოულოდნელად, გრძელდებოდა სხვა ამბის ჩაშლით. საბოლოო ჯამში, მაყურებელი სათანადო თემის შესახებ ამომწურავი ინფორმაციის გარეშე რჩებოდა.

მონიტორინგის მეორე ეტაპზე (20.04.2020-04.06.2020) კი 20:00 საათიან საინფორმაციო გამოშვებაში გამოიკვეთა შემდეგი საკითხები:

## 1. მნიშვნელოვანი ამბების მიჩქმალვა/არგაშუქება

მონიტორინგის პერიოდში გამოიკვეთა მნიშვნელოვანი ამბების მიჩქმალვის/არგაშუქების ტენდენცია, რაც განსაკუთრებით თვალშისაცემი და საგანგაშოა. ეს ტენდენცია განსაკუთრებით თვალშისაცემია, თუ შევადარებთ 2020 წლის მარტამდე არსებულ ვითარებას, როდესაც აღნიშნული საინფორმაციო გამოშვების ძირითადი თემა ხშირად იყო თავად აჭარის მაუწყებელში მიმდინარე

მნიშვნელოვანი პროცესები. მაუწყებლის ჟურნალისტები და წამყვანები ხშირად მიუთითებდნენ კრიტიკული სარედაქციო პოლიტიკის შეცვლის საფრთხეზე.

დაკვირვებამ ცხადყო, რომ სამონიტორინგო პერიოდში, საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელობისა და გადაცემის წამყვანების ცვლილების შემდეგ, აჭარის მაუწყებელში მიმდინარე პროცესები საერთოდ ამოვარდა მთავარი საინფორმაციო გამოშვების დღის წესრიგიდან. საინფორმაციო გამოშვებებში ამ საკითხებს ან საერთოდ არ ეთმობოდა დრო, ან, გამონაკლის შემთხვევაში, მინიმალური ყურადღება და პრიორიტეტი ენიჭებოდა.

მაგალითად, საინფორმაციო გამოშვების ეთერში საერთოდ ვერ მოხვდა სახალხო დამცველის რეკომენდაცია, რომლითაც ომბუდსმენმა აჭარის მაუწყებლის დირექტორ გიორგი კობხრიძეს 3 თანამშრომლის სამსახურში აღდგენისკენ მოუწოდა. ასევე, არ გაშუქდა ამავე არხის გადაცემა „ჰემთეგისა“ და ალტერნატიული პროფკავშირის დამფუძნებლის, მალხაზ რეხვიაშვილის საჯარო წერილი, რომლითაც ის მაუწყებლის დირექტორის, გიორგი კობხრიძის რეპრესიულ პოლიტიკას აკრიტიკებდა. ნაკლები პრიორიტეტი მიენიჭა თეონა თურმანიძის ფეისბუკ პოსტის გამო ეთერიდან გათავისუფლების ამბავს - 21 აპრილის გადაცემაში ამის შესახებ მაყურებელს გამოშვების ბოლოს, მე-15 ამბად, ამინდის პროგნოზის წინ მიაწოდეს ინფორმაცია. 11 მაისს კადრ-სინქრონად გაშუქდა მალხაზ რეხვიაშვილის სამსახურიდან გათავისუფლება, ამ ამბავზე საერთაშორისო ორგანიზაციის „რეპორტიორები საზღვრებს გარეშე“ გამომხაურება კი საერთოდ არ გაშუქებულა.

გარდა აჭარის მაუწყებელთან დაკავშირებული საკითხებისა, მთავარი 20:00 საათზე ყურადღების მიღმა ტოვებდა სხვა, არანაკლებ მნიშვნელოვან, ხელისუფლების მიმართ კრიტიკულ საკითხებს. მაგალითად, 12 მაისს მაუწყებელმა ვრცლად გააშუქა ისეთი თემები, როგორცაა პრემიერის ვიზიტი და ეკონომიკის მინისტრის შეხვედრები, თუმცა არ დაინტერესდა აჭარის უმაღლესი საბჭოს წევრების არასრულად შევსებული ქონებრივი დეკლარაციებით. ამ დღეს „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო“



გამოაქვეყნა განცხადება, რომ აჭარის უმაღლესი საბჭოს წევრებს ქონებრივი დეკლარაციები არასრულად და შეცდომით აქვთ შევსებული, მათ შორისაა აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჭვაძეც.

27 აპრილს „ბათუმელებმა“ გამოაქვეყნა ჟურნალისტური გამოძიება იმ კორუფციული სქემის შესახებ, რომელსაც საერთაშორისო გადამზიდავები, კერძოდ, თურქეთიდან სარფის საბაჟოს გავლით ტვირტის შემომტანი ბიზნესმენები აწყდებიან. აღნიშნულ თემას არაერთმა ცენტრალურმა ტელევიზიამ დაუთმო მნიშვნელოვანი ყურადღება, თუმცა აჭარის მაუწყებლის მთავარ საინფორმაციო გამოშვებაში ეს საკითხი არც 27 აპრილს გაშუქებულა და არც შემდგომ დღეებში.

ასევე, 30 აპრილს ბათუმის მერი საკრებულოს წინაშე წარსდგა ყოველწლიური ანგარიშით, თუმცა, როგორც სხვა მედიასაშუალებებმა აღნიშნეს, მისი ანგარიში არ იყო სრულყოფილი და სიტყვიერი მოხსენების ნაცვლად, მერმა საკუთარი საუბრის ვიდეოჩანაწერი წარმოადგინა. მერმა და მისმა წარმომადგენლებმა არც საკრებულოს წევრთა კითხვებს დაუთმეს ადეკვატური დრო. მერის საკრებულოში მისვლის ამბავი „მთავარში“ გაშუქდა, თუმცა აღნიშნული დეტალები ნახსენები საერთოდ არ ყოფილა.

19 მაისს TV-25-ის საინფორმაციო სამსახურის უფროსმა სულხან მესხიძემ გაავრცელა განცხადება, რომ თორნიკე რიჭვაძე მინისტრებს მათთან ურთიერთობას უკრძალავს. ამბავი გააშუქა ადგილობრივმა და ცენტრალურმა მედიამაც, აჭარის ტელევიზიის საინფორმაციო ბადეში კი ეს ამბავი საერთოდ ვერ მოხვდა.

## **2. ბალანსის დაცვა**

მონიტორინგის პერიოდში „მთავარში“ 20:00 საათზე, რიგ შემთხვევებში, ბალანსი არ იყო დაცული, რაც გამოიხატებოდა ხელისუფლების მიმართ კრიტიკული მოსაზრებისთვის ნაკლები პრიორიტეტის მინიჭებაში, ან საერთოდ არგაშუქებაში.

მაგალითად, 2020 წლის 21 აპრილის გადაცემაში გასული სიუჟეტი - „საგანგებო მდგომარეობა 22 მაისის ჩათვლით გაგრძელდა“ ეხებოდა საგანგებო მდგომარეობის

დამატებითი ვადით გაგრძელებას. სიუჟეტში არ იყო გაშუქებული ოპოზიციის კრიტიკა და არგუმენტები, თუ რატომ არ უჭერენ ისინი მხარს საგანგებო მდგომარეობის გაგრძელებას. მართალია, ამავე გადაცემაში ჰქონდათ პირდაპირი ჩართვა დამოუკიდებელ დეპუტატ ლევან კობერიძესთან, რომელსაც ასევე ჰქონდა საწინააღმდეგო მოსაზრებები, თუმცა არ გაშუქებულა ორი ძირითადი საპარლამენტო ოპოზიციური პარტიის - „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა“ და „ევროპული საქართველოს“ დამოკიდებულება ამ საკითხის მიმართ.

გარდა ამისა, მთავარში 20:00 საათზე ყოველდღე პირდაპირ ეთერში გადიოდა ინტერვიუ რესპოდენტთან სხვადასხვა მნიშვნელოვან საკითხზე. გადაცემის ამ ნაწილის სტუმრები, ძირითადად, ხელისუფლებისა და მმართველი პარტიის წარმომადგენლები, ან მათთან აფილირებული ექსპერტები იყვნენ.

### **3. კრიტიკისგან დაცლილი კონტენტი**

საინფორმაციო გამოშვებების კონტენტი, ძირითადად, დაცლილი იყო ხელისუფლების კრიტიკისგან და საინფორმაციო გამოშვება სჯერდებოდა მიმდინარე ამბების მხოლოდ მშრალად გაშუქებას, არ ცდილობდა ხელისუფლების ამა თუ იმ გადაწყვეტილების კრიტიკულად გაანალიზებას და მაყურებლისთვის საკითხის შესახებ მრავალმხრივი მოსაზრებების მიწოდებას. შესაძლოა, ბალანსი ფორმალურად დაცული და მაყურებლისთვის შეთავაზებული ყოფილიყო სხვადასხვა მოსაზრება, თუმცა, მთლიანი აღქმით, ეს არ არის კრიტიკული გაშუქება. საინფორმაციო გამოშვება არ ცდილობდა, მაყურებლისთვის მიეწოდებინა განსხვავებული ინფორმაცია ან ფოკუსი ამა თუ იმ საკითხის შესახებ. ასევე, არ ცდილობდა თავად მოეძიებინა პრობლემური თემები დაეყენებინა ხელისუფლების პასუხისმგებლობის საკითხი არაერთ პრობლემასთან დაკავშირებით, რაც მოსახლეობას აწუხებდა, თუნდაც, პანდემიის პირობებში. საინფორმაციო გამოშვებები, უმეტესად მიყვებოდა დღის წესრიგს და იმ მოვლენების გაშუქებას, რომელსაც საზოგადოებას პოლიტიკოსები, ძირითადად კი, ხელისუფლების წარმომადგენლები სთავაზობენ.

მაგალითად, 29 მაისს „მთავარის“ 20:00 საათიან საინფორმაციო გამოშვებაში გავიდა სიუჟეტი ბათუმის საკრებულოს იმ სხდომის შესახებ, სადაც ბათუმის მერმა საკრებულოს თავმჯდომარეს მოკლე ტექსტური შეტყობინება გაუგზავნა და უთხრა, რომ საკითხი არ უნდა ამოეღო. საქმე ეხებოდა ბათუმის ბულვარის ცენტრში დამატებით მიწის ნაკვეთის გადაცემას იმ კომპანიისთვის, რომელიც ოთხსართულიანი მშენებლობის 15 სართულამდე გაზრდას ითხოვს. ამბის გაშუქებისას, აჭარის ტელევიზიამ აქცენტის გაკეთება ამჯობინა იმაზე, რომ ბათუმის ბიუჯეტი დაზარალდებოდა, თუკი საკითხი ჩავარდებოდა.

გადაცემაში შუქდებოდა მთავრობის ანტიკრიზისული გეგმა ტურიზმთან, სოფლის მეურნეობასთან, ფერმერებისათვის 200 ლარიანი სუბსიდირების გადაცემასა და განათლებასთან დაკავშირებით. თუმცა გაშუქება იყო კრიტიკისგან დაცლილი და მაყურებელი ვერ იღებდა მრავალმხრივ დაბალანსებულ ინფორმაციას. ამ გეგმებთან დაკავშირებით არ ისმოდა სათანადო კრიტიკა. ხშირად წამყვანს ისევ ხელისუფლების წარმომადგენელი ჰყვდა ეთერში, იყო შემთხვევებიც, როდესაც გადაცემაში სტუმრად ჰყავდათ კონკრეტული სფეროს წარმომადგენელი, მაგრამ ამ შემთხვევაში ყველაზე მნიშვნელოვანი ის არის, რომ ჟურნალისტის მხრიდან არ ისმოდა კრიტიკული კითხვები, ძირითადად, წამყვანის კითხვები ეხებოდა პროცედურულ საკითხებს და განმარტებებს, თუ რას მოიცავს ესა თუ ის პაკეტი, როგორ შეუძლიათ ადამიანებს მისი მიღება და ა.შ.

საინფორმაციო გამოშვებაში ტენდენციური ხასიათი ჰქონდა ხელისუფლების წარმომადგენლებისთვის უფრო მეტი პრიორიტეტის მინიჭებას, ვიდრე მათ კრიტიკას. მაგალითად, 14 მაისის გადაცემაში მთავრობის ანტიკრიზისული გეგმის თემა გაშუქდა უმუშევრად დარჩენილთა კომპენსაციაზე. ამ თემაზე სასაუბროდ ჩართვაში ჰყავდათ ხელისუფლების წარმომადგენელი ჯანდაცვის მინისტრის მოადგილე თამარ ბარკალაია. წამყვანს არ დაუსვამს კრიტიკული კითხვები და აქცენტი ძირითადად პროცედურებზე იყო გამახვილებული.

## ჰეშთეგი

(25.12.2019-10.03.2020)

### მთავარი მიგნებები:

- ყველა გადაცემის თემა აქტუალური იყო;
- „ჰეშთეგში“ პრობლემაზე მხოლოდ ერთი მხარის საუბარი იკვეთებოდა, მიუხედავად იმისა, რომ წამყვანები სხვადასხვა ხერხებით ცდილობდნენ განსხვავებული პოზიციის წარმოჩენას. ზოგჯერ ეს მცდელობა საკმარისი არ იყო, რაც მხარეთა მოსაზრებების დაბალანსებულად წარმოჩენას აფერხებდა;
- ხშირ შემთხვევაში არ იყო ცხადი, როგორც გადაცემის არქივის, ასევე, სხვა წყაროებიდან მოპოვებული მასალების შესახებ ინფორმაცია. მაყურებელმა კი ყოველთვის უნდა იცოდეს ეთერში გასული მასალის წარმომავლობა და მომზადების დრო.

**ზოგადი შთაბეჭდილება:** საანგარიშო პერიოდში გადაცემის განსახილველ თემებად ყოველთვის აქტუალური საკითხები იყო შერჩეული.

„ჰეშთეგის“ ერთი ნაწილი უმეტესად ეთმობოდა ზოგადად ქვეყანაში მიმდინარე პროცესებს. გადაცემა, ასევე, მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობდა უშუალოდ აჭარაში მიმდინარე პროცესების კვალიფიციურად გაშუქებას.

„ჰეშთეგი“ ყოველთვის კრიტიკულად აშუქებდა სხვადასხვა საკითხს და გადაცემის ავტორები ცდილობდნენ სიღრმისეულ ანალიზს. გადაცემაში ხშირად იყვნენ სტუმრები, რაც წამყვანებს ეხმარებოდა ზოგიერთი თემის უკეთ გაშლაში, თუმცა „სკაიპ“ ჩართვის ფორმატით სტუმრების მონაწილეობა ხშირად ტექნიკური ხარვეზებით მიმდინარეობდა, რაც გადაცემის საერთო ხარისხზე აისახებოდა.

გადაცემის ზოგად პრობლემად შეიძლება მივიჩნიოთ პრობლემაზე უმეტესად მხოლოდ ერთი მხარის საუბარი. მართალია წამყვანები სხვადასხვა ხერხებით ცდილობდნენ განსხვავებული პოზიციის წარმოჩენას, თუმცა, ზოგჯერ ეს მცდელობა

საკმარისი არ იყო, რაც მხარეთა მოსაზრებების დაბალანსებულად წარმოჩენას აფერხებდა.

ხშირად, ერთი შეხედვით ნეიტრალური რესპონდენტი, მაგალითად, ეკონომიკის (ან სხვა სფეროს) ექსპერტი, გადაცემაში ხელისუფლებისადმი მიკერძოებულ შეფასებებს, დაუდასტურებელ ფაქტებს ახმოვანებდა და წამყვანები, მსგავსი შემთხვევების დროს, ინფორმაციის დაბალანსებას ზოგჯერ ვერ ახერხებდნენ.

მონიტორინგის პერიოდში, გადაცემაში რამდენჯერმე გავიდა საარქივო სიუჟეტი, ზოგიერთი მათგნი რამდენიმე თვით ადრე იყო გადაღებული და მითითებული არ იყო ეთერში გასვლის ზუსტი დრო.

## თავისუფალი სივრცე

(20.04.2020-04.06.2020)

### მთავარი მიგნებები:

- გადაცემის თემები იყო რელევანტური, თუმცა წამყვანი ხშირად სათანადოდ არ იყო მომზადებული განსახილველი საკითხისთვის;
- შესამჩნევი იყო წამყვანის სუბიექტური, უარყოფითი დამოკიდებულება ოპოზიციის წარმომადგენლების მიმართ;
- კრიტიკული კითხვების დასმა ხდებოდა, ძირითადად, ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლების მიმართ.

**ზოგადი შთაბეჭდილება:** სამონიტორინგო პერიოდში „თავისუფალი სივრცე“ ვახო ხუზმიანვილთან ერთად აჭარის ტელევიზიის ეთერში გადიოდა კვირაში ორჯერ, 21:00 საათზე. გადაცემაში მიწვეული სტუმრები საუბრობდნენ დასმულ საკითხებზე. ძირითადი განსახილველი თემები მიმდინარე აქტუალური პოლიტიკური საკითხები

იყო. ამ მხრივ, გადაცემის თემები მონიტორინგის პერიოდში რელევანტურად იყო შერჩეული, ასევე, გადაცემის სტუმრებიც, ძირითადად, თემასთან შესაბამისად იყვნენ შერჩეულები. სტუმრების შერჩევას არ გამოკვეთლა უპირატესობა რომელიმე პარტიის სასარგებლოდ, გათვალისწინებული იყო სტუმრების პოლიტიკური კუთვნილება და ეთერში, ძირითადად, ერთმანეთთან დაპირისპირებული პოლიტიკოსები იყვნენ მიწვეული.

სამონიტორინგო პერიოდში, წამყვანი, ძირითადად, პირდაპირ სტუმრების ჩართვით იწყებდა გადაცემებს და ისე სვამდა კითხვებს, რომ მაყურებელს არ აწვდიდა არანაირ წინასწარ ზოგად ინფორმაციას ამა თუ იმ საკითხზე. წამყვანის კითხვები არ იყო კრიტიკული და არ ხდებოდა გადაცემაში გამოკვეთილ საკითხებზე დეტალური ინფორმაციის მოძიების მიზნით კითხვების დასმა.

ასევე, შთაბეჭდილება რჩებოდა, რომ წამყვანი ოპოზიციის მიმართ უფრო კრიტიკული იყო და ოპონირებას ცდილობდა კითხვებით, რასაც ვერ ვიტყვით ხელისუფლების მიმართ. წამყვანის სუბიექტურ დამოკიდებულებას ამყარებს 6 მაისის გადაცემის შესავალში ჟურნალისტის მიერ ნათქვამი შემდეგი ტექსტი:

„მაშინ, როცა ქვეყანაში ეპიდემიაა, მაშინ, როცა უამრავი ადამიანი ოჯახების გადარჩენისთვის იბრძვის, მაშინ, როცა ხალხმა არ იცის, როგორ დააღწიოს თავი ეკონომიკურ სიდუხჭირეს და COVID-19-ს, პოლიტიკოსები არჩევნებზე ფიქრობენ. რა უფრო მნიშვნელოვანია - ხალხის ჯანმრთელობა, ეკონომიკური მდგომარეობა თუ ვინ მოხვდება საქართველოს პარლამენტში? ოპოზიცია ხელისუფლებას პარლამენტში ჩვეულ რეჟიმში დაბრუნებას თხოვს, რა მოთხოვნები აქვს ოპოზიციას და რას პასუხობს მმართველი გუნდი, ჩვენს შეკითხვებს დავით უსუფაშვილი და მამუკა მდინარაძე უპასუხებენ“.

აღნიშნულ შესავალთან დაკავშირებით ჟურნალისტის მიმართ შენიშვნა გამოთქვა ოპოზიციონერმა პოლიტიკოსმა დავით უსუფაშვილმა, რომელმაც ჟურნალისტს

უთხრა, რომ საკითხის მსგავსი ფორმულირება არის „სიყალბე“, „ნიჰილიზმის დათესვა“ და „არჩევნების დაკნინება“.

საპასუხოდ, ჟურნალისტმა თქვა, რომ ეს მისი პირადი კი არა, „ხალხის აზრი“ იყო, თუმცა გადაცემის მიმდინარეობისას ნაჩვენები არ ყოფილა არც ერთ მოქალაქე, ვინც ამას იტყოდა, არც იმაზე ყოფილა მითითება, რომ ვინმე ასე აფასებს პოლიტიკოსებს.

ასევე, აღსანიშნავია, ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის დადებულ 8 მარტის შეთანხმებაზე გაკეთებული 4 გადაცემა, სადაც წამყვანი თითქმის ყველა ოპოზიციონერ სტუმარს უმეორებდა თითქმის ერთი და იგივე შინაარსის შეკითხვას<sup>1</sup>: რითაც ჟურნალისტი ერთი-ერთში იმეორებდა ხელისუფლების წარმომადგენლების ნარატივს, რომლის მიხედვითაც, სასამართლო და პრეზიდენტი არიან დამოუკიდებლები და, შესაბამისად, ისინი ვერავის ვერ დაავალებენ ვინმეს პატიმრობიდან გათავისუფლებას, რადგან ეს იქნება უკანონო.

---

<sup>1</sup> 11 მაისი. ვახო ხუზმიაშვილი ეკა ბესელიას: „გასაგებია, რომ კითხვები არსებობს სასამართლოსთან დაკავშირებით და ძალიან დიდი ხანია ამაზე საუბრობთ, მაგრამ როგორ უნდა მოხდეს ასე ღიად, საჯაროდ, ვინ უნდა მიუთითოს სასამართლოს, რომ გაათავისუფლეთ ეს ადამიანები, პირდაპირ უნდა ჩაიწეროს უკანონობა?“

13 მაისი. ვახო ხუზმიაშვილი ნინო ბურჯანაძეს: „როგორ უნდა უბრძანოს ხელისუფლებამ სასამართლოს, რომ გაათავისუფლოს თუნდაც, აი, ეს სამი ადამიანი?“

13 მაისი. ვახო ხუზმიაშვილი ზაალ უდუმაშვილს: „თუ პოლიტიკოსი ხარ ადამიანი და დანაშაულს ჩაიდენ, შესაძლოა, ამ ლოგიკით ვერასდროს ვერავინ დააკავონ, აქეთკენ ხომ არ წავა ეს პროცესები?“ “რა მექანიზმი არსებობს, როგორ უნდა უთხრას ხელისუფლებამ სასამართლოს, გაათავისუფლე ეს სამი ადამიანი”

18 მაისი. ვახო ხუზმიაშვილი ზურაბ ჯაფარიძეს: ყოველთვის ყველა ოპოზიციური ძალა აცხადებს, რომ სასამართლო არ არის ქვეყანაში თავისუფალი. როდესაც რურუას პროცესები მიმდინარეობს და ყველა ერთხმად მოითხოვთ, რომ მისი გათავისუფლება მოხდეს, ხომ არ არის ეს მაინცდამაინც ისეთი გადაწყვეტილება, რომ სასამართლომ და კონკრეტულმა მოსამართლემ ეს შეიძლება აღიქვას ზეწოლად?

აღნიშნულის საპირწონედ ჟურნალისტს გადაცემებში ხელისუფლების წარმომადგენლებისთვის არ დაუსვამს კრიტიკული კითხვები. მისი ძირითადი განხილვის თემა ოპოზიციის მოთხოვნებისა და ქმედებების ადეკვატურობის შეფასება უფრო იყო, ვიდრე ხელისუფლების კრიტიკა.

დაფიქსირდა შემთხვევები, როდესაც არ ეძლეოდა მხარეს საშუალება პასუხი გაეცა მის მიმართ გამოთქმულ ბრალდებებზე. მაგალითად, 1 ივნისის გადაცემაში აჭარის ტელევიზიის ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის ხელმძღვანელის ემზარ პაქსაძის მიერ გამოთქმულ ბრალდებებზე არ მიეცათ პასუხის გაცემის საშუალება იმ პირებს, ვის მიმართაც იყო ეს ბრალდებები გამოთქმული და არც წამყვანს გაუკეთებია სათანადო მითითება.

მნიშვნელოვანია გადაცემებში სტუმრების თანმიმდევრობაც - ძირითადად, ოპოზიციის წარმომადგენლების ჩართვებით იწყებოდა გადაცემა, შემდეგ კი, იყვნენ ხელისუფლების წარმომადგენლები, რომელთა მიმართაც ჟურნალისტს არ ჰქონდა კრიტიკული კითხვები. იყო შემთხვევები, როდესაც დასკვნით ნაწილში მაყურებელი უსმენდა ხელოვანებს, რომლებიც საუბრობდნენ არა პრობლემებზე, არამედ პოზიტიურად აფასებდნენ ხელისუფლების საქმიანობას და გვახსენებდნენ, რომ „პრობლემებიც არსებობს, მაგრამ ახლა ფორსმაჟორია...“.



## სათქმელი

### მთავარი მიგნებები:

- გადაცემა იყო მიუკერძოებელი;
- „სათქმელის“ თემები აქტუალური იყო გაშვების მომენტისთვის;
- მაუწყებელში მიმდინარე პროცესებს გადაცემის სარედაქციო პოლიტიკაზე გავლენა არ მოუხდენია.

**ზოგადი შთაბეჭდილება:** საანგარიშო პერიოდში, გადაცემა ან მისი წამყვანი, არ ყოფილა მიკერძოებული რომელიმე პოლიტიკური სუბიექტის ან რომელიმე სხვა მხარის მიმართ. გადაცემაში ხშირად მონაწილეობდნენ, როგორც ხელისუფლების და ოპოზიციის, ასევე, სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლები. გადაცემაში ხშირად ისმოდა მოქალაქეების პოზიციაც. დაფიქსირდა შემთხვევა, როდესაც არ მონაწილეობდა მმართველი გუნდის წარმომადგენელი, თუმცა, წამყვანმა განსახილველ თემაზე ხელისუფლების პოზიცია თავად წარმოაჩინა და ოპონირების რეჟიმში იყო გადაცემაში მონაწილე ოპოზიციონერ პოლიტიკოსებთან.

„სათქმელის“ თემები ყველა ჯერზე აქტუალური იყო და შეესაბამებოდა მთავარ ამბებს. გადაცემაში ხდებოდა კონკრეტული თემის მრავალმხრივი წარმოჩენა, რაც მაყურებელს საინტერესო საკითხზე ამომწურავი ინფორმაციის მიიღების საშუალებას აძლევდა.

გადაცემის წამყვანები - ირინა ყურუა და ლაშა ზარგინავა აქტიურები და კრიტიკულები იყვნენ, არ ერიდებოდნენ სტუმრებისთვის კრიტიკული კითხვების დასმას, ტოვებდნენ კარგად მომზადებულისა და ინფორმირებულის შთაბეჭდილებას. ამასთან, კამათის დროს, არ სცდებოდნენ ეთიკის ნორმებს და არ იჩენდნენ უპატივცემულობას რომელიმე სტუმრის მიმართ. წამყვანები, ძირითადად, მომზადებული იყვნენ განსახილველ საკითხთან მიმართებაში. საანგარიშო

პერიოდში რამდენჯერმე დაფიქსირდა შემთხვევა, როდესაც წამყვანს გაუჭირდა დებატების პროცესის მართვა.

## მთავარი აქარაში

### მთავარი მიგნებები:

- გადაცემაში გასული სიუჟეტები იყო უფრო ხანგრძლივი და სიღრმისეული, ვიდრე ჩვეულებრივ საინფორმაციო გადაცემებში. ზოგჯერ გამოყენებული იყო ვიზუალური ხერხები (გრაფიკები, ცხრილები და ა.შ.), რაც ინფორმაციას უფრო აღქმადს ხდიდა;
- წამყვანები იყვნენ მომზადებულნი და სვამდნენ კრიტიკულ კითხვებს;
- მაუწყებელში მიმდინარე პროცესებს გადაცემის სარედაქციო პოლიტიკაზე გავლენა არ მოუხდენია.

**ზოგადი შთაბეჭდილებები:** ანალიტიკური გადაცემა „მთავარი აქარაში“ ეთერში ყოველ შაბათს 20:00 საათზე გადის. შერჩეულ თემებზე უმეტესად მზადდებოდა ვრცელი სიუჟეტები და სტუდიაში მიწვეული იყო, ძირითადად, ორი სტუმარი. ზოგჯერ სტუმარი პირდაპირ ეთერში ჩართვის ფორმატით მონაწილეობდა გადაცემაში. სტუმრების შერჩევას არ შეიმჩნეოდა მიკერძოება რომელიმე პოლიტიკური ძალის სასარგებლოდ. იმ შემთხვევაში, თუ მხოლოდ ერთი მხარე იყო ეთერში წარმოდგენილი, წამყვანი აკეთებდა განმარტებას, თუ რატომ მოხდა ასე.

სამონიტორინგო პერიოდში, სტუმრის ბლოკის შემდეგ გადიოდა რამდენიმე სიუჟეტი, რომელთა თემატიკაც მრავალმხრივი იყო. ხშირად შუქდებოდა სოციალური პრობლემები, ასევე, გვხვდებოდა სიუჟეტები კულტურისა და სპორტის მნიშვნელოვანი მოვლენების შესახებ.

ხშირად სტუმრები განსხვავებულ პოზიციებზე მყოფი სუბიექტები იყვნენ და დისკუსია დინამიური და საინტერესო გამოდიოდა. წამყვანი მეტწილად მომზადებული იყო განსახილველ თემასთან მიმართებაში, მისი დამაზუსტებელი შეკითხვები მაყურებელს ეხმარებოდა მეტი ინფორმაციის მიღებაში. გადაცემაში გასული სიუჟეტები კი იყო უფრო ხანგრძლივი, უფრო სიღრმისეული ვიდრე ჩვეულებრივ საინფორმაციო გადაცემებში. სიუჟეტებში ხშირად გამოყენებული იყო ვიზუალური ხერხები (გრაფიკები, ცხრილები და ა.შ.), რაც მაყურებლისთვის ინფორმაციას უფრო აღქმადს ხდიდა.

გადაცემის ხარვეზად შეიძლება მივიჩნიოთ ექსკლუზიური, სიღრმისეული თემების ნაკლებობა იმ ფონზე, როდესაც ყოველკვირეული ფორმატი იძლევა საშუალებას მოხდეს კონკრეტული მწვავე ამბების მოძიება და გაშლა. ერთკვირიანი შუალედი შესაძლებელს ხდის სიუჟეტები იყოს უფრო ანალიტიკური, კვლევითი და მაყურებელს სთავაზობდეს გასულ კვირაში წამოჭრილ საკითხებზე სიღრმისეულ ანალიზს. მიუხედავად სიუჟეტების ვრცელი ქრონომეტრაჟისა, უმრავლეს მათგანში იყო ჟურნალისტის პირადი მიგნებების სიმწირე, სიუჟეტების უმეტესობაში მწვავე ამბების მთავარი მთხრობელები პოლიტიკოსები იყვნენ.

## კვირის მთავარი

### მთავარი მიგნებები:

- გადაცემაში, ძირითადად, დაცული იყო ჟურნალისტური ეთიკის ნორმები;
- წამყვანები მომზადებულები იყვნენ;
- მაუწყებელში მიმდინარე პროცესებს გადაცემის სარედაქციო პოლიტიკაზე გავლენა არ მოუხდენია.

**ზოგადი შთაბეჭდილებები:** სამონიტორინგო პერიოდში, გადაცემა, ძირითადად, აჯამებდა მსოფლიოსა და საქართველოში მიმდინარე მოვლენებს და ნაკლები აქცენტი კეთდებოდა უშუალოდ აჭარის რეგიონში მიმდინარე ამბებზე.

გადაცემის წამყვანები, როგორც წესი, მომზადებულნი იყვნენ, სვამდნენ კრიტიკულ კითხვებს და მაყურებელს აწვდიდნენ ამომწურავ, სრულყოფილ ინფორმაციას განსახილველ საკითხზე. გადაცემაში, ძირითადად, დაცული იყო ჟურნალისტური ეთიკის ნორმები, თუმცა, ზოგჯერ გარკვეული პრობლემა იქმნებოდა, როდესაც გადაცემაში მხოლოდ ერთი სტუმარი მონაწილეობდა. დაფიქსირდა შემთხვევა, როდესაც სტუმარმა, კონკრეტულ საკითხებთან მიმართებაში, გააკრიტიკა ხელისუფლება და გადაცემაში არ გაჟღერებულა ხელისუფლების პოზიცია. მსგავს შემთხვევაში, გადაცემის წამყვანი უნდა იყოს მასიმალურად მობილიზებული და, ეთერში გამოთქმულ საკითხებზე, აუდიტორიას მიაწოდოს ინფორმაცია მოპასუხე მხარის პოზიციის შესახებ.

## დანართი

### საინფორმაციო-ანალიტიკური გამოშვებების შეფასების კრიტერიუმები

- იყო თუ არა აქტუალური საინფორმაციოში გაშუქებული თემები?
- ახერხებდა თუ არა აჭარის ტელევიზია ექსკლუზიური ამბების მოძიებას, ანდა მიმდინარე ამბების განსხვავებული, საინტერესო კუთხით გაშუქებას.
- როგორი იყო ახალი ამბების თანმიმდევრობა საინფორმაციოებში, იყო თუ არა მნიშვნელობის მიხედვით დალაგებული და ხომ არ ხდებოდა მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის შემცველი ამბის უკანა პლანზე გადატანა.
- იყო თუ არა მოთხრობილი შინაარსი მაცურებლისათვის გასაგები, სიუჟეტის სტრუქტურა გასაგებად ჩამოყალიბებული, სიუჟეტში გამოყენებული ლექსიკა ადვილად აღქმადი.
- დაცული იყო თუ არა გამოშვებებში ეთიკური სტანდარტები - იყო თუ არა მასალები მრავალფეროვან წყაროებზე დაყრდნობით გადმოცემული, წარმოჩენილი იყო თუ არა ამბის თხრობისას განსხვავებული აზრები და პოზიციები, იყო თუ არა დაცული გონივრული ბალანსი, ხომ არ ხდებოდა ახალი ამბის მიკერძოებულად გადმოცემა.
- იყო თუ არა მკვეთრად გამიჯნული ფაქტები და მოსაზრებები. ხომ არ იყენებდა ჟურნალისტი სიძულვილის ენას, ანდა ხელს უწყობდა მის დაუსაბუთებელ ტირაჟირებას.
- სიუჟეტში იყენებდნენ თუ არა არქივიდან მოპოვებულ მასალას და უთითებდნენ თუ არა ამის შესახებ, იყო თუ არა ფარულად მოპოვებული კადრები, რამდენად აუცილებელი იყო ფარული გადაღების გამოყენება და მითითებული იყო თუ არა ამის შესახებ.
- იყენებდნენ, თუ არა სხვადასხვა სახელმწიფო უწყებების თუ სხვა წყაროების მიერ გადაღებულ ვიდეო მასალებს და ახდენდნენ თუ არა ასეთ მასალებზე შესაბამის მითითებას.
- იყო თუ არა ტექნიკური ხარვეზები და რა ტიპის.

## ტოქსოუების შეფასების კრიტერიუმები

- იყო თუ არა თემა აქტუალური, როგორი იყო თემის მნიშვნელოვნების და მიმზიდველობის ხარისხი.
- იყვნენ თუ არა სტუმრები შერჩეული გადაცემის თემასთან შესაბამისად?
- სტუმრების შერჩევას გათვალისწინებული იყო თუ არა მათი განსხვავებული პოლიტიკური მრწამსი, იყვნენ თუ არა პროგრამაში წარმოდგენილი სხვადასხვა მოსაზრების მქონე ადამიანები.
- მომზადებული იყო თუ არა ჟურნალისტი გადაცემისთვის სათანადოდ (წამყვანი წარადგენდა თუ არა ფაქტებს, იშველიებდა თუ არა წყაროებს, ციტატებს)
- წამყვანი იცავდა თუ არა ბალანსს რესპონდენტებთან მიმართებაში და ხომ არ ამჟღავნებდა მიკერძოებულობას გადაცემის რომელიმე მონაწილის მიმართ.
- რამდენად ზუსტი, ლაკონური და რელევანტური იყო გადაცემის წამყვანის შეკითხვები რამდენად დინამიკური იყო გადაცემა.
- რამდენად იყო გადაცემა ტექნიკურად გამართული, ხომ არ იყო ხარვეზები და რა ტიპის.